გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 32

2023 წლის 10 თებერვალი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/კ 218081590) 2022 წლის აპრილიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/კ 218081590) 2022 წლის აპრილიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1.დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის (ს/ კ 218081590) 2022 წლის აპრილიდან განვლილი პერიოდის საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

საქართველო
ა(ა)ი პ „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი"

GEORGIA
N.I.P. "THE CENTRE CARE OF
PUBLIC HEALTH OF GORI
MUNICIPALITY"

1400 გორი სტალინის ქ. №2
ტელ 0(370) 27-46-84, 27-46-85.
ელ. ფოსტა Gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL: 0370) 27-46-84, 27-46-85.

N ----11--

23 იანვარი, 2023 წელი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით რაზმაძეს

ბატონო დავით,

თქვენო 2023 წლის 16 იანვრის წერილი N 21-21230163 პასუხად წარმოგიდგენთ ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს მუშაობის ანგარიშს 2022 წლის 1 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს
დირექტორი: მ. გიუნაშვილი

საქართველო
ა(ა)ი პ „გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი"

GEORGIA
N.I.P. "THE CENTRE CARE OF
PUBLIC HEALTH OF GORI
MUNICIPALITY"

1400 გორი სტალინის ქ. №2
ტელ 0(370) 27-46-84, 27-46-85.
ელ. ფოსტა Gori.jandacva@gmail.com

1400 GORI, STALIN AVE 2
TEL: 0370) 27-46-84, 27-46-85.

ა.(ა).ი.პ. გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის
მუშაობის ანგარიში 2022 წლის 1 აპრილიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

ა.(ა).ი.პ. გორის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში აგრძელებდა მუშაობას საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებისათვის. კერძოდ, ეპიდსაწინააღმდეგო, იმუნიზაციის, პარაზიტული დაავადებების დროულ გამოვლენასა და მათ ლიკვიდაციაზე, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვაზე და ა.შ

ინფექციურ და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა შესახებ გორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სულ შემოსულია სასწრაფო შეტყობინება 2099 შემთხვევაზე. მ.შ შიგელოზი 1, ენტეროჰემორაგიული ეშერიხიოზი 5, საკვებისმიერი მოშხამვა 274, სოკოთი მოშხამვა 1, სავარაუდო ინფექც. წარმოშობის დიარეა 230, ტულარემია1, ბრუცელოზი 5, ბორელიოზი 9, პოქსვირუსი 2, ორსულთა სიფილისი 3, ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება 1 (პაციენტი გარდაიცვალა), ცოფის რისკი - 1216. საანგარიშო პერიოდში მართვადი ინფექცია არ დაფიქსირებულა.

ტუბ კაბინეტიდან შემოსულია სულ სასწრაფო შეტყობინება 38 შემთხვევაზე, აქედან „მგბ + "იყო 16, „მგბ -" 20, ფილტვგარეშე ტუბერკულოზზე 2. შემთხვევაში. ყველა შემთხვევაზე დროულად ჩატარდა ეპიდკვლევა, მოძიებული იქნა კონტაქტები (სულ 90 კონტაქტი), მოხდა მათი რეფერალი ტუბ კაბინეტში აქტიურ/ლატენტურ ტუბერკულოზზე კვლევისთვის. კონტაქტებში ტუბერკულოზის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

საანგარიშო პერიოდში ცხოველთა მიერ დაკბენა - დადორბლის 1216 შემთხვევა დაფიქსირდა (მ.შ მოხეტიალე ცხოველით 556, პატრონიანით - 660). სრული კურსი დაენიშნა 466 პირს, პირობითი - 750-ს, გაიხარჯა სულ 3661 დოზა ანტირაბიული ვაქცინა და 60 დოზა ანტირაბიული იმუნოგლობულინი. ინფორმაცია ცხოველთა დაკბენა-დადორბვლის შესახებ ეცნობა სურსათის უვნებლობის სააგენტოს. ადამიანებში ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 აგვისტოს N 356 დადგენილებისა თანახმად C ჰეპატიტის ელიმინაციასთან დაკავშირებით აქტიურად ვახორციელებდით ინტეგრირებულ სკრინინგს C ჰეპატიტზე, აივ ინფექციასა/შიდსსა და ტუბერკულოზზე, შემდგომ სკრინინგით იდენტიფიცირებული დადებითი შედეგის მქონე პირების რეფერალი ხდებოდა სამედიცინო დაწესებულებაში დიაგნოსტიკურ კვლევებსა და მკურნალობაში ჩართვის მიზნით. სულ საანგარიშო პერიოში სკრინინგი ჩაუტარდა 2500-მდე პირს.

საქართველოში დიარეით მიმდინარე დაავადებების შემთხვევებისა და ეპიდაფეთქებების გამოვლენის, მათზე რეაგირებისა და პრევენციის გაძლიერების მიზნით მიმდინარე წლის ივნისის თვიდან ეპიდზედამხედველობა დავამყარეთ „გორმედსა" და „იავნანაში"

სტაციონარულ და ამბულატორიულ მკურნალობაზე მყოფი ნებისმიერი ასაკის პაციენტეზე, ხდებოდა მათგან საანალიზო ნიმუშების აღება და დკსჯდე ცენტრის ლაბორატორიაში გადაგზავნა. სულ აღებული იქნა 187 ნიმუში (403 პაციენტისგან), გამომწვევის იდენტიფიკაცია მოხდა 7 შემთხვევაში. საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა ორი ეპიდაფეთქება, ჩატარდა დეტალური ეპიდკვლევა ორივე შემთხვევაში.

კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით გორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში ყოველდღიურად ტარდებოდა ტესტირება ვირუსის დროულად გამოვლინების მიზნით. გარდა ამისა აქტიურად ვახორციელებდით გეგმიურ ტესტირებებს რისკ ჯგუფებში. სულ მიმდინარე წლის 9 თვეში ტესტირება ჩაუტარდა 12 123 პირს. დადასტურებული იყო 2301, ეპიდკვლევა ჩატარდა ყველა შემთხვევაში, იზოლაციაში გადავიყვანეთ 9563 პირი.

პარაზიტოლოგიური კაბინეტში მიერ მიმდინარე წლის აპრილის თვიდან შემოსულია სულ 426 საანალიზო ნიმუში. კვლევის შედეგად ენტერობიოზი აღმოჩნდა 151 შემთხვევაში, ასკაროდოზი 51, შერეული ინვაზია(ენტერობიოზი-ასკარიდოზი) 42, შერეული ინვაზია(ენტერობიოზი-ლამბლიოზი) 1 და ანალიზები ინვაზიის გარეშე 181.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა ხორციელდებოდა პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის მიხედვით. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებებსა და პირველად ჯანდაცვებს ვაქცინაციისათვის გადაეცათ: 2600 დოზა ბცჟ, 810 ჰეპატიტი ბ,2805 - ჰექსა, 2022 - ტეტრა, 1050 -ტდ, 2338 - წწყ , 1573 როტა, 3141 - პნევმო და 324 დოზა აპვ ვაქცინა. ვაქცინების მიწოდება ამცრელი კაბინეტებისთვის ,, ცივი ჯაჭვის'' პრინციპით იყო დროული.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან გრიპის სეზონის დადგომისთანავე აქტიურად დავიწყეთ სეზონული გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მუნიციპალიტეტში. სულ წლის ბოლომდე გაიხარჯა 2191 დოზა ვაქცინა, აქედან სჯდ ცენტრში ჩატარდა 1122 პირის აცრა.

2022 წლის ივნისი-ივლისის თვეში მოხდა იმუნიზაციის ელექტრონული მოდულში ვაქცინაციის ნაშთის მონიტორინგი. ,,ცივი ჯაჭვის'' გამართულ მუშაობაზე პირველადი ჯანდაცვის 27 დაწესებულებას ჩაუტარდა მონიტორინგი.

პროფილაქტიკური სამსახურის მიერ მოხდა სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასკოლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, სილამაზისა და ესთეტიკის სალონებში. სულ ჩატარდა 17 სასკოლო, 12 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების და 18 სილამაზის სალონის მონიტორინგი.

,,თამბაქოს კანონის'' აღსრულებასთან დაკავშირებით მონიტორინგი ჩაუტარდა 224 ობიექტს (მ.შ სავაჭრო - 72, სასწავლო - 13, სამედიცინო - 19, სილამაზის სალონი - 26, საჯარო დაწესებულება - 12, საზოგადოებრივი ტრანსპორტი - 32, სასტუმრო - 13, სამასპინძლო დაწესებულება - 37). მონიტორინგის შედეგები მობილური აპლიკაციის მეშვეობით გადაეგზავნა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს.

სისტემატიურად ხდებოდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო სახის შეხვედრები მოსახლეობასთან, მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს ვაწვდიდით პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებს.

საანგარიშო პერიოდში სამედიცინო დაწესებულებებიდან დროულად მოხდა სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისთვის გადაცემა.

პატივისცემით,
ა.(ა).ი.პ. ,,გორის მუნიციპალიტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი''ს
დირექტორი: მ.გიუნაშვილი